პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 ოქტომბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 199 (9610) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სახელი შენი — მრავალჟამიერ



იხ. მე-2 გვ.

## ნებისყოფის გამარჯვება

**ყველანი** აქ იყვნენ, „ძველებიც“ და ახალგაზრდებიც, ყველას უჩვეულო სიხარული ეწერა სახეზე. მალე თვითმფრინავიც დაეშვა და გაისხარა ქართული რეგბის „ოჯახმა“... ყრიამული, ტაში, ხვევნა-კოცნა, მილოცვები... ყველაზე მეტი მილოცვა, რა თქმა უნდა, ქუთაისის „მშენებლის“ თავკაცმა დუგლას კავთელაშვილმა მიიღო.

— მილოცვისათვის გმადლობთ, მაგრამ, გვერწმუნეთ ახლა ამ გამარჯვებას მარტო ჩვენად არ აღვიქვამთ. „მშენებლის“ ჩემპიონობა ქართული რეგბის, ქართული სპორტის წარმატებაა და ყველაზე ძალიან სწორედ ეს გვახარებს — გვითხრა მან.

**— უკან დასახევი გზა მოჭრილია, 12 ოქტომბერს აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რათა ჩემპიონობის შენარჩუნება შევძლოთ. ეს ჩვენთვის ღირსების საქმეა — ქუთაისში დამარცხების შემდეგ განაცხადა მოწინააღმდეგთა უფროსმა მწვრთნელმა ევგენი ანტონოვმა...**

— მიგიხვდით, გაინტერესებთ, ჩვენ რას ვფიქრობდით საპასუხო მატჩის წინ? „დღეს ან არასოდეს“ — ორი სიტყვით ასე გამოითქმება ის, რამაც მთელი გუნდი შეადუღაბა. ჩვენი ბიჭების შემართება და მებრძოლი ხასიათი რომ არა, სურვილი სურვილად დარჩებოდა და ამ უძნელეს მატჩში საბჭოთა რეგბის აღიარებულ ლიდერსა და, როგორც ბევრს მიაჩნდა, სუპერფინალის ფავორიტს, ვერ ვაჯობებდით. მატჩამდე ერთხელ კიდევ გავახსენეთ ბიჭებს, რომ ქართველ კაცს არასოდეს შინებია მეტოქის სახელისა ან ძალისა.

ჩვენმა გამარჯვებამ ბევრი გაახარა და გააოცა. გვილოცავდნენ დეპეშებით და ტელეფონით, ნაცნობები და უცნობები. ყველა ერთხმად აღნიშნავდა: ეს იყო ჭკვიანთისა და ნებისყოფის გამარჯვება.

**— ნოემბერში, საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში მეორედ ჩატარდება საერთაშორისო საკლუბო ტურნირი „ტულუზ მასტერსი“. საფრანგეთის პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც. ესე იგი...**

— არა, გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ჩვენ კონკრეტულად არაფერი ვიცით ამის შესახებ. ცნობილია, რომ ამ ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს წელს, შარშანდელთან შედარებით, მეტი გუნდი მიიწვიონ საფრანგეთში, მაგრამ რა იქნება და როგორ, ეს ჯერ არავინ იცის. ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ ისევე დავიცვათ საბჭოთა რეგბის ღირსება ევროპულ სარბიელზე, როგორც აქამდე საქართველოს ღირსებას ვიცავდით ჩვენს ქვეყანაში.

ესაუბრა **თამაზ მიგრიაული.**

• • •

**ქუთაისელი რეგბისტები თბილისის აეროპორტიდან პირდაპირ „დინამოს“ სტადიონზე მოვიდნენ, სადაც მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.**

## ცხენოსნობაში ყველაფერი ხდება

**დასავლეთ** ბერლინი. თანამედროვე ხუთჭიდელთა ევროპის ჩემპიონატის პირად ჩათვლაში სამი სახეობის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელი მილან კადლეცის გვარი არსად სჩანდა. უფრო სწორად, ეს სპორტსმენი პრიზიორთა სამეულში არ ფიგურირებდა. იგი ლიდერთა შორის მხოლოდ მეოთხე სახეობის — მძლეოსნური კროსის შემდეგ ამოტივტივდა.

მანამდე ყურადღების ცენტრში, ცხადია, დაწინაურებულ ხუთჭიდელთა სამეულის გამოსვლა იყო — თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილის, უნგრელი იოჟეფ დემეტერისა და მოსკოველი ალექსი ხაპლანოვისა. დემეტერმა კროსის დისტანცია სხვებზე უკეთ გაირბინა და 1153 ქულა დაიმსახურა. იაგორაშვილის შედეგი — 1054 ქულა იყო, ხაპლანოვისა კი — 1045.

როცა ოთხი სახეობის შედეგები დაჯამდა გამოირკვა, რომ იაგორაშვილი (4.352 ქულა) სულ ცოტათი უსწრებდა უნგრელ ხუთჭიდელს, რომელსაც ამ დროისთვის 4.347 ქულა გაუხდა. სწორედ ამ



დღეს მოხდა კიდევ ერთი არსებითი ცვლილება — მილან კადლეცმა (4.304 ქულა) გადაუსწრო ხაპლანოვს (4.247) და მტკიცედ დაიმკვიდრა მესამე პოზიცია.

გადამწყვეტი აღმოჩნდა შეჯიბრების ბოლო სახეობა — ცხენოსნობა, რომელშიც ლიდერებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: იაგორაშვილი — 1040 ქულა, დემეტერი და კადლეცი — 1092 ქულა თითოეულს, ხაპლანოვი — 1079 ქულა. აი ამ მაჩვენებლების მიხედვით დადგინდა ევროპის ჩემპიონატის სამეული პირად ჩათვლაში. პირველი ადგილი და კონტინენტის ჩემპიონის სახელი უნგრელმა იოჟეფ დემეტერმა მოიპოვა — 5439 ქულა. ვერცხლის მედალი ჩეხ მილან კადლეცს ხვდა — 5396 ქულა, ბრინჯაოსი — თბილისელ ვახტანგ იაგორაშვილს— 5392 ქულა. მოსკოველი ალექსი ხაპლანოვი IV ადგილზე დარჩა — 5326 ქულა.

სამაგიეროდ გუნდურ ჩათვლაში პირველობა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიპოვა — 15.696 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან უნგრეთის (15586) და დიდი ბრიტანეთის (15351) ხუთჭიდელები.

ამ ტურნირის დამთავრების შემდეგ მოეწყობა კონტინენტის გუნდური პირველობა, რომელიც ექსპერიმენტული ხასიათისა იქნება. ექსპერიმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეჯიბრება სამ დღეში დამთავრდება. პირველ დღეს გაიმართება ცხენოსნური კონკური და ფარიკაობა, მეორე დღეს — ცურვის ესტაფეტა და სროლა, მესამე დასკვნით დღეს კი, ორკილომეტრიანი მძლეოსნური კროსი.

## დაჯილდოება

**საბჭოთა** კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტარიელ ჟღენტი სასტენდო სროლის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ჩვენი სახელოვანი მესტენდურე ამჟამად საქართველოს მრგვალ სტენდზე მსროლელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია.

## სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი

**ახალგაზრდა** ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელსაც ლვოვმა უმასპინძლა, წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა სნაიპერებმა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჭაბუკთა შორის ანდრეი დოლგარიოვმა (მწვრთნელები — გიორგი შამიროვი და ვლადიმერ ერმიშიანი) მპ-8 ვარჯიშში 593 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გუნდურ პირველობაშიც ყველას მისმა კოლექტივმა — არმიელთა ნაკრებმა აჯობა. დოლგარიოვმა მესამე ოქროს მედალი მპ-5 ვარჯიშში გამართულ გუნდურ პირველობაში მოიპოვა, პირად შეჯიბრებაში კი მეორე ადგილი დაიკავა.

ორი მედალი მიიღო ზვიად ქიზიყურაშვილმა (მწვრთნელი სოსო ქუსიკაშვილი) — ერთი „გაქცეულ ტახზე“ სროლაში (მშ-12) მესამე ადგილის დაკავებისთვის (584 ქულა), მეორე — მეორე ადგილზე გასულ დინამოელთა გუნდთან ერთად, რომლის ღირსებასაც ის იცავდა. ქიზიყურაშვილს ერთი ქულა დააკლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებამდე.

## დღეს კომუნისტური შაბათობაა!

**ოქტომბრის** რევოლუციის 70-ე წლისთავის აღსანიშნავად დღეს ეწყობა კომუნისტური შაბათობა.

შაბათობაზე უნდა გამოვლინდეს საერთო ენთუზიაზმი, რათა მოვაწესრიგოთ შრომით კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში სპორტული მოედნებიც. საქართველოს პროფსაბჭოს მიერ საგანგებოდ შექმნილი შტაბი ამ საკითხსაც დიდ ყურადღებას დაუთმობს. ბევრი ადამიანი იშრომებს დღეს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული და ახალ საცხოვრებელ ადგილებში ჩამოსახლებული ოჯახების დასახმარებლად. იქ, სადაც ადამიანებია, სადაც ბავშვები იზრდებიან სპორტული მოედნებიც აუცილებლად უნდა მოვაწყოთ. ასეთი ადგილის შერჩევა და მოსწორება ერთ დღეშიც შეიძლება. კომუნისტური შაბათობის სიკეთე ყველას უნდა დავამახსოვროთ.



გარი კასპაროვი — ანატოლი კარპოვის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# ცაიტნოტი

**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თამაზ გიორგაძე სევილიიდან ტელეფონით გვატყობინებს:**

**ყოველდღე** ესპანეთის ტელევიზია დიდ დროს უთმობს კასპაროვ-კარპოვის მატჩს. ვიდრე ჩემპიონატი დაიწყებოდა, გაიმართა მოლაპარაკება ტელევიზიასა და მოჭადრაკეებს შორის. ორივე დიდოსტატმა ივალდებულა, რომ ტელევიზიას მისცემდნენ ინტერვიუს. კასპაროვი დათანხმდა ტელეჟურნალისტებს ესაუბროს ყოველი პარტიის დამთავრებისთანავე, კარპოვი კი პარტიის გათამაშების მეორე დღეს. მოლაპარაკების დამატებითი პუნქტით ტელევიზია ინტერვიუს არ მოსთხოვს ამა თუ იმ პარტიაში დამარცხებულ მოჭადრაკეს.

პირველი პარტიის დამთავრებისთანავე კასპაროვმა რამდენიმე წუთი დაუთმო ტელევიზიას და კმაყოფილება გამოთქვა პარტიის შედეგით, იგი კმაყოფილი იყო თავისი თამაშითაც, მეორე დღეს ინტერვიუ აიღეს კარპოვისაგან, რომელმაც თქვა, რომ მას შეეძლო პირველ პარტიაში უკეთ ეთამაშა და უპირატესობა მიეღო. შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს მზადების პერიოდს, კარპოვმა აღნიშნა, რომ კმაყოფილია თავისი მზადებით და ფიქრობს, კარგ ფორმაშია. იქვე მან ისიც დაუმატა, რომ მისთვის ძნელია იმის თქმა, თუ როგორ ემზადებოდა კასპაროვი. მისი აზრით, კასპაროვი გაცილებით მეტ დროს უთმობდა „ჭადრაკის ირგვლივ საქმეებს“, ვიდრე ჭადრაკს.

როგორც იცით, მეორე პარტია

იხ. მე-4 გვ.



**გუშინ** თბილისის „დინამომ“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში მოსკოვის „ტორპედოს“ უმასპინძლა (იხ. მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელი შენი — მრავალჟამიერ




„ლელოს“ ფოტოარქივიდან

ნონა გაფრინდაშვილისა და ელისაბედ ბიკოვას 1962 წლის ისტორიული მაჩის ბოლო პარტია.

მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელი მიხეილ შიშოვი მატჩის შემდეგ მოსკოვის ცენტრალურ ტელესტუდიაში მიიწვიეს.

იმ დღეებში ნონამ უამრავი დეპეშა მიიღო.

სამშობლოში დაბრუნებულ ჩემპიონს აღფრთოვანებით შეხვდნენ თანამემამულენი. ზეიმობდა მთელი საქართველო.



ზუსტად 25 წლის წინათ, 1962 წლის 17 ოქტომბერს დამთავრდა ნონა გაფრინდაშვილისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვას მატჩი მსოფლიო პირველობისთვის. მასში გამარჯვებამ, როგორც იცით, მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოუტანა ნონას. სწორედ ამ მეოთხედსაუკუნოვან იუბილეს ვზეიმობთ ამხანაგ ჭადრაკის გულშემატკივრები.
ცნობილი პედაგოგის, ნონა გაფრინდაშვილის პირველი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის მიერ დათესილ თესლს პირველად ნონამ აღმოუცენა ნაყოფი — ორიგინალური სტილის ახალგაზრდა მოჭადრაკემ სძლია ელისაბედ ბიკოვას და მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით შეიმოსა (ამ შეხვედრას თავად ნონამ „ჩემი უდიდებულესობა მატჩი“ უწოდა). მერე კი, როგორც იტყვიან, მიეცა და მიემატა... მდოგვის მარცვალივით გაიზარდა, გაათმაგდა და გაასმაგდა მისი წარმატებები — როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი.
ნონა კიდევ ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ქალებისთვის მანამდე არნახული წარმატებით თამაშობდა ვაჟთა ტურნირებშიც. მაგრამ მისი ღვაწლი უფრო დიდია — ნონამ საფუძველი ჩაუყარა ქალთა ჭადრაკის ეროვნულ სკოლას (ცნობილია, რომ ნონამდელ მსოფლიო ჩემპიონ ქალებს მიმდევრები არ ჰყოლიათ, ამიტომ ისინი უმთავრესად ვაჟთა ტურნირებში თამაშობდნენ) და ამ თამაშის სიყვარულის სენი ბევრ ქართველ გოგონას შეჰყარა. სწორედ ნონასეული ჭადრაკით იხილეს მათ ჭადრაკი და ჩვენში კვლავ აღორძინდა, განვითარდა ეს თამაში, ჩვენს წინაპრებს ასე რომ ჰყვარებიათ.
ნონა — მოჭადრაკე, თავის თავს ჰგავს. იგი მისაბაძია არა მხოლოდ როგორც სპორტსმენი, არამედ როგორც პიროვნებაც — კეთილგონიერი, თავმდაბალი, კორექტული... და ეს, ჩვენი აზრით, არანაკლებ საამაყოა.
ნონა გაფრინდაშვილის თამაშიდან ჩანს, რომ მისი პოტენცია არ დაშრეტილა, იგი კვლავ ტურნირებით ცხოვრობს, მის საძირკველზე დაშენებული ქალთა საჭადრაკო სკოლა კი დღითიდღე იზრდება და ვითარდება.
საქართველო მარად იამაყებს თქვენით, ძვირფასო ნონა.







ლახტის წრეში

# ვის ვაყრით თვალში ნაცარს?

**სოფელი** იყალთო (თელავის რაიონი) საქვეყნოდაა ცნობილი იმით, რომ აქ ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი — აკადემია, სადაც მეცნიერების დარგებთან ერთად ისწავლებოდა ლითონის ჭედვა და კერამიკა. დღესდღეობით ქართული ხელოსნობის მრავალი დარგი — მათ შორის ლითონის ჭედვაც მივიწყებულია და თითოოროლა თუ მისდევს მამაპაპისგან მემკვიდრეობით მიღებულ ხელობას. ამიტომ 1983 წელს იყალთოში გაიხსნა ქართული ხალხური მხატვრული რეწვის № 165-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, სადაც ისწავლება ხისა და თიხის მხატვრული დამუშავება, ლითონის ჭედვა, რესტავრაცია და სხვა. ასეთი პროფილის სასწავლებელი საბჭოთა კავშირში სხვაგან ჯერჯერობით არსად არ არის. მოგეხსენებათ, ახლად დაწყებულ საქმეს ბევრი სიძნელე ხვდება. ამ მხრივ არც იყალთოს ტექნიკუმია გამონაკლისი. სასწავლებლის ახალგაზრდული პედაგოგიური კოლექტივი ვახტანგ ლაცაბიძის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და განსამტკიცებლად, დასახვეწია სასწავლო პროცესიც. ტექნიკუმს დაარსების დღიდანვე მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევს საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოება. სასწავლებელი ასეთივე მხარდაჭერას მოელის სხვა ორგანიზაციებიდანაც, მაგრამ...

იყალთოს პროფტექნიკუმი ყოფილი საშუალო სკოლის ძველ შენობაშია მოთავსებული. თელავის რაიალმასკომის გადაწყვეტილებით მასვე გადაეცა ოციოდე მეტრის მოშორებით მდებარე ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოედნები სკოლას ეკუთვნოდა და აქ ფიზკულტურის გაკვეთილები და სასკოლო შეჯიბრებები ტარდებოდა, ახლომახლო უბნების მოზარდებიც აქ შემოდიოდნენ სათამაშოდ. ასე რომ, სტადიონი დატვირთული იყო და ამართლებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ ეს ყველას როდი უჯდებოდა ჭკუაში. თუ კოლმეურნეობის მუშამ მიხეილ გიგილაშვილმა თავის საკარმიდამო ნაკვეთს სტადიონის მხრიდანაც შეაბა კარი — რახან ასე სჭირდებათ ეს მოედანი, რაღა შორიდან იარონ გადმოვარდნილი ბურთის ასაღებად, აქედან გზასაც შეიმოკლებენ და აღარც ღობეს დამიმტვრევენო (აგაშენა ღმერთმა!), ცოლ-ქმარი თინა გიგილაშვილი და გიგლა დედაბრიშვილი წუწუნებდნენ — მთელი დღე მოსვენება არა გვაქვსო. მას შემდეგ კი, როცა სტადიონი ტექნიკუმს გადაეცა, მათ საჩივრით მიმართეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გურამ შათირიშვილს: ყურთასმენა აღარ არის, თანაც ეზოს გვითელავს ცალკე გადმოვარდნილი ბურთი, ცალკე მის ასაღებად შემოსულებიო. მართალია, გიგლა დედაბრიშვილის ოჯახი გარკვეულად ზარალდებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მოედნის მავთულის ბადით შემოღობვა? გურამ შათირიშვილი კი ადგა და მოედანი დედაბრიშვილის საკარმიდამო ნაკვეთს მიუმატა. სასწავლებლის ხელმძღვანელებმა დასახმარებლად აღმასკომს მიმართეს. გურამ შათირიშვილს შეახსენეს, რომ არსებული დოკუმენტის თანახმად მიწის ეს ნაკვეთი ტექნიკუმს ეკუთვნოდა. დედაბრიშვილის ოჯახმა ფეხი ამოიკვეთა აქედან (თუმცა კალათბურთის ფარების მოგლეჯა მაინც მოასწრო), მაგრამ გურამ შათირიშვილმა ქვა აგდო და თავი შეუშვირა (აქაო და მე ვარ და ჩემი ნაბადიო): რახან სოფლის თავკაცობა მე მომანდეს, მე უკეთ ვიცი როგორ მოვიქცეო. სტადიონი მოახვნევინა და მასზე გოგრის მოყვანა გადაწყვიტა, თუმცა შემდეგ ეს გადაწყვეტილებაც შეცვალა და გოგრის მაგივრად სიმინდი დაათესინა. და აი, „დგანან ნახნავის თავ-ბოლოს ბადე მოსხმული კარები — მოწყენით, როგორც ზამთარში მერცხალთა ნაბუდარები“, ასე გაულექსავს ეს ამბავი ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს ელგუჯა ციგროშვილს.

19 სექტემბერს, თელავში, აღმასკომის სხდომაზე გურამ შათირიშვილს მკაცრად მოსთხოვეს პასუხი — საყვედური გამოუცხადეს და დაავალეს, 1 ნოემბრამდე კეთილმოეწყო მოედნები. მას შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა, მაგრამ შათირიშვილს არაფერი გაუკეთებია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ იყალთოში ზემოაღნიშნულის გარდა კიდევ ორი სპორტული მოედანია და ორივე სავალალო მდგომარეობაშია (ერთგან თივის ზვინი წამოუჭიმავთ, აქვე მოუმარაგებიათ ზამთრისთვის შეშა და ფიჩხი, მოედანს მთელ სიგრძეზე ჰკვეთს ცხენ-ურმისა და მანქანა-ტრაქტორებისგან გატკეპნილი გზა). ჩანს, სოფლის თავკაცი მწყრალადაა სპორტზე, არ ესმის ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა. ამიტომ მას ან აზრის შეცვლა მოუწევს, ან...

ახლა ცოტა რამ ტექნიკუმის სპორტულ დარბაზზეც ვთქვათ. აქ წლების განმავლობაში იატაკი დაზიანებული იყო, მაგრამ მაინც გაკვეთილები ტარდებოდა „დაბრკოლებათა გადალახვაში“. ერთი წლის წინ ვარჯიში უკვე სახიფათო გახდა. ცხადია, დირექცია ბევრჯერ მიმართა ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ თხოვნა დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. და აი, როგორც იქნა, საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით სპორტულ დარბაზში იატაკის დასაგებად გამოიყო 15 კუბმეტრი დახერხილი წიწვოვანი ხის მასალა. დარბაზში ძველი იატაკი აიყარა და ის იყო დურგალი უნდა მოეწვიათ, რომ მოულოდნელად ბრძანება შეიცვალა და ტექნიკუმს — არყისა და ვერხვის ხის ფიცრები გამოუყვეს (ათი კუბმეტრი ხის მასალა უკვე მიტანილია ადგილზე). მაგრამ რად გინდა, ეს მასალა იატაკისთვის არ გამოდგება. ტექნიკუმის დირექტორმა გვითხრა, იძულებულები ვართ სპორტულ დარბაზში ასფალტი დავაგოთო. ჩვენი მხრიდან კი ვიტყვით, რომ სპორტულ დარბაზში ასფალტის დაგება არც მეტი არც ნაკლები საანეგდოტო ამბავია. დარწმუნებული ვართ, ვინმე კერძო პირს რომ დასჭირვებოდა, იატაკის მასალას ზემდგომი ორგანოების ჩარევის გარეშეც იშოვნიდა.

საინტერესოა, ვის ვაყრით თვალში ნაცარს?

**ალეკო პაპოშვილი**
**ჯემალ კაპანაძე**
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები.





სტადიონზე სიმინდისყანა ბიბინებს; უიატაკო სპორტული დარბაზი.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

50

### „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:2.

**გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**

**„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:2 (0:1).**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 16 ოქტომბერი.**

**„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია (ქეცბაია, 69), არზიანი, კაკილაშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორდალიძე (ფანცულაია, 71), გურული, შენგელია.**

**„ტორპედო": ხარინი, პოლუკაროვი, ბოდაკი, პრიგოდა, პოზდნიაკოვი, გრიშინი, ი. სავიჩევი (ნ. სავიჩევი, 75), რუდაკოვი (პისარევი, 78), მუშტრუევი, შირინბეკოვი, აგაშკოვი.**

**მსაჯი ნ. იუროვი (ომსკი).**

**გააფრთხილეს კეტაშვილი და ი. სავიჩევი.**

დაწყებული 1938 წლიდან, როცა მოსკოვის „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში გამოჩნდა, თბილისის დინამოელებს ამ გუნდთან მეტად საინტერესო, საყურადღებო ურთიერთდამოკიდებულება აქვს. მათ შორის დამატებითი თამაშიც შედგა 1964 წლის საკავშირო ჩემპიონის გამოსავლენად, ტორპედოელები და დინამოელები ერთმანეთს თასის ფინალშიც შეხვედრიან, გასახსენებელი სხვაც ბევრი გვაქვს, მაგრამ გუშინდელ მატჩს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, თბილისელთათვის. ახლა წყდება ჩვენი გუნდის უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი, ამიტომ ყოველ შეხვედრას, მოსკოვის „ტორპედოსთან" იქნება ეს თუ სხვა გუნდთან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ტრადიციის შესაბამისად გუშინდელი თამაში უკიდურესად დაძაბულ, შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. იგრძნობოდა მოჭარბებული ნერვიულობა, მინდორზე ხშირად არღვევდნენ წესს, მღელვარება გადაედო ტრიბუნებსაც, ნ. იუროვი გაჭირვებით აბამდა თავს სირთულეებს.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მას შემდეგ, რაც დინამოელებმა თავიანთი ტერიტორიული უპირატესობისა და ხშირი იერიშების მიუხედავად 32-ე წუთზე... პირველი ბურთი გაუშვეს ი. სავიჩევის გარღვევის მერე. პირველ გოლს შესვენების, შემდეგ მეორეც მოყვა. მეორე მეტად 61-ე წუთზე გაიტანა პოზდნიაკოვმა.

0:2 — ამგვარ ვითარებაში მატჩის ხსნა დამარცხებისაგან ძალზე ძნელი იყო, მაგრამ თბილისელებმა მთელი ძალით, ენერგიულად შეუტიეს და სულ მოკლე ხანში, 68-ე და 71-ე წუთებზე „ტორპედოს" მეკარემ ხარინმა ორი ერთნაირი შეცდომა დაუშვა, რის შედეგად ჯერ ფანცულაიამ, შემდეგ კი ქეცბაიამ ზედიზედ გაქვითეს ორივე ბურთი — 2:2.

ძნელმა ბრძოლამ თბილისის „დინამოს" ერთი ქულა მოუტანა, ტორპედოელებმა კი თავიანთ აქტივს ვერაფერი მიუმატეს, ვინაიდან ფრეთა ლიმიტი მათ უკვე ამოწურული აქვთ.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ფირცხალავამ და ფანცულაიამ.

გუშინვე გაიმართა სხვა შეხვედრები:

**„ზენიტი" — „შახტიორი" 3:1**

**„დინამო" მნ. — „დინამო" მ. 1:0**

**„არარატი" — „დინამო" კ. 0:0**

**„ნეფთჩი" — „სპარტაკი" 0:2**

ხვალ ლაჩხუთში გაიმართება ტურის მორიგი შეხვედრა, ადგილობრივი „გურია" მიიღებს ხ... „...".

## სტუმრად ავსტრიელ მოჭიდავეებთან

დაქმობილებული ქალაქების სპორტული მეგობრობა

**ინსბრუკისა** და თბილისის ჭაბუკ მოჭიდავეთა მეგობრობას საფუძველი წლეულს ივლისში ჩაეყარა, როცა ავსტრიელი სპორტსმენები ჩვენს რესპუბლიკას ეწვივნენ სტუმრად. მაშინ ამხანაგური შეხვედრა სიღნაღში ჩატარდა და დამთავრდა თბილისის გუნდის გამარჯვებით — 7:3.

თბილისის გუნდი, ეს ქალაქის სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა კოლექტივია, რომელშიც 1971-1973 წლებში დაბადებული სპორტსმენები არიან. იგი ოქტომბრის პირველ რიცხვებში საპასუხო ვიზიტით ეწვია ავსტრიის ამ საკურორტო ქალაქს და ორი საპასუხო ამხანაგური შეხვედრა გამართა.

ქართველ ჭაბუკთა მეტოქეები თავდაპირველად ქალაქის სახალხო სკოლის მოყვარულთა კლუბის აღსაზრდელები იყვნენ. საინტერესო და დაძაბული შეხვედრა თბილისელმა სპორტსმენებმა მინიმალური სხვაობით (5:4) მოიგეს. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს და გამარჯვებები მოიპოვეს: ვანო ყუშიტაშვილმა (38 კგ), სპარტაკ ბალაშვილმა (57 კგ), გოჩა ტატაევმა (62 კგ), დათო ხაბელაშვილმა (68 კგ) და მინდია ფასურიშვილმა (87 კგ).

მეორე შეხვედრაში ჩვენი მოჭიდავეების წინააღმდეგ მასპინძლებმა „გიოტინგის" კლუბის წარმომადგენლები გამოიყვანეს. ამ კლუბმა ცოტა ხნით ადრე ბუნდესლიგის ტურნირში გაიმარჯვა და ავსტრიაში უძლიერესი კოლექტივის სახელი დაისაკუთრა. გუნდში, ბუნებრივია, უფრო ასაკოვანი მოჭიდავეები იყვნენ (ჩვენს ჭაბუკებზე 5-6 წლით უფრო დიდები) და სტუმრებმა დათმეს გამარჯვება. ეს შეხვედრა საბოლოო ჯამში ავსტრიელებმა მოიგეს — 5:4.

თბილისელ მოჭიდავეთაგან თავი გამოიჩინეს: იმავე გოჩა ტატაევმა, დათო ხაბელაშვილმა, ვანო ყუშიტაშვილმა, აგრეთვე, მარლენ ჯაფარიძემ (82 კგ). სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა ტატაევმა და დათო ხაბელაშვილმა სპეციალური პრიზები დაისაკუთრეს, როგორც ყველაზე ტექნიკურმა მოჭიდავეებმა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩვენ შევხვდით ჩვენი მოჭიდავეთა დელეგაციის უფროსს, ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორს ელდარ ფარჯანაძესა და ნაკრების უფროს მწვრთნელს ვასილ ვალიშვილს (გუნდს ინსბრუკში თან ახლდა კიდევ ერთი მწვრთნელი — გელა ელოშვილი). ამ მეგობრული კონტაქტების მნიშვნელობას ორთავემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი. მათ აღნიშნეს, რომ ამგვარი საერთაშორისო შეხვედრები ხელს უწყობს ჭაბუკ მოჭიდავეთა დაოსტატებას და საგრძნობლად აფართოებს მათი ოსტატობის ჰორიზონტს.

„ლელოს" კორ.

## მატჩი შედგება 22 ოქტომბერს

**იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 21 ოქტომბერს შედგება ჩემპიონთა თასის მატჩი ადგილობრივ „სტიაუასა" და კიპროსის „ომონიას" შორის, უეფა-ს თასის შეხვედრა ბუქარესტის „ვიქტორიასა" და თბილისის „დინამოს" შორის მხარეთა შეთანხმებით გადაიტანეს 22 ოქტომბრისთვის.**

### II ლიგა

15 ოქტომბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 30-ე ტურის მატჩები: „მეშახტე" (ტყიბული) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 3:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ვოსხოდი" (სუმგაითი) 3:2, „დინამო" (სოხუმი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 4:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 2:1, „გოიაზანი" (ყაზახი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:1, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 1:0, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „დილა" (გორი) 4:1.

გაპროტესტებულია მინგეჩაურის „ავტომობილისტისა" და კიროვაკანის „ლორის" შეხვედრის შედეგი (1:1).

### საქართველოს პირველობა

შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი მატჩი I ჯგუფის გუნდებს შორის.

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:2. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები:** თიგიევი (ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა), ტატიაშვილი, ლვინიაშვილი („დურუჯი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა) 0:1. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი). გოლი:** მატუა („სქური").

### გფრ — შვეცია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ გელზენკირხენში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ამ ქვეყნისა და შვეციის ეროვნულ გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს ლიტბარსკიმ (გფრ) და ჰისენმა (შვეცია).

## ევროპის ჩემპიონატი

განვლილ ოთხშაბათს ევროპის ქალაქებში გაიმართა კონტინენტის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

### I ჯგუფი

**სევილიაში** ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და ავსტრიის ფეხბურთელები. ესპანელებმა საკმაოდ იოლად გაიმარჯვეს, ანგარიში 11-მეტრიანით გახსნა მიჩელმა, შემდეგ კი სანჩესმა მეორედ აიღო სტუმრების კარი.

სატურნირო მდგომარეობა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-6 | 8 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-3 | 6 |
| ავსტრია | 5 | 2 | 0 | 3 | 6-9 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

### III ჯგუფი

**პარიზი.** საფრანგეთის ფეხბურთელებმა კვლავ გააწბილეს თავიანთი გულშემატკივრები, ვინაიდან საკუთარ მინდორზე ისინი მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ ნორვეგიის ნაკრებთან შეხვედრაში. მართალია, ჯგუფში გამარჯვებისთვის არც ერთ ამ გუნდს არა აქვს რაიმე შანსი, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების აშკარა კრიზისი კვლავ გრძელდება. პირველი ბურთი გაიტანა ფრანგმა ფარყონმა, ნორვეგიელთა ნახევარმცველმა სუნდბიუმ კი მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-3 | 11 |
| გდრ | 6 | 2 | 3 | 1 | 9-3 | 7 |
| საფრანგეთი | 7 | 1 | 4 | 2 | 4-6 | 6 |
| ისლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 4-12 | 6 |
| ნორვეგია | 7 | 1 | 2 | 4 | 4-9 | 4 |

### IV ჯგუფი

**ინგლისელმა** ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე გამანადგურებელი ანგარიშით მოუგეს თურქეთის გუნდს — 8:0. სამი ბურთი გაიტანა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ჰარი ლინეკერმა, ორი — ბარნესმა და თითო — რობსონმა, ბერდსლიმ და უებმა.

ასევე დამაჯერებლად გაიმარჯვეს შინ იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან შეხვედრაში — 3:0. ორი ბურთი გაიტანა ვოკრიმ, ერთიც — ხაჯიბეგიჩმა.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 4 | 1 | 0 | 15-0 | 9 |
| იუგოსლავია | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 6 |
| თურქეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-12 | 2 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 1-10 | 1 |

ჯგუფში გამარჯვებულის გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ექნება იუგოსლავიისა და ინგლისის გუნდების შეხვედრას, რომელიც 11 ნოემბერსაა დანიშნული.

### V ჯგუფი

ამ ჯგუფში კარგა ხანს ლიდერობდნენ საბერძნეთის ფეხბურთელები, მაგრამ მათ ბუდაპეშტში ანგარიშით 0:3 წააგეს უნგრეთის გუნდთან (ბურთები გაიტანეს ბოგნარმა, დეტარიმ და მესაროშმა) და სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაბლა ჩამოიწიეს.

პოლონეთის ნაკრებმა ქ. ზაბჟეში მიიღო ჰოლანდიის გუნდი. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 2:0. ორივე ბურთი გაიტანა გულიტმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8-1 | 10 |
| საბერძნეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-10 | 9 |
| უნგრეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 12-11 | 6 |
| პოლონეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 6 |
| კვიპროსი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

### VI ჯგუფი

დანიის ფეხბურთელებმა კოპენჰაგენში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს უელსის ნაკრები, ეს ერთადერთი გოლი ელკიაერმა გაიტანა. იმავე ელკიაერმა ამის შემდეგ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 4-2 | 8 |
| უელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-3 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 5 |
| ფინეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 3 |

### VII ჯგუფი

საკვალიფიკაციო ჯგუფის გათამაშება დაასრულეს ირლანდიის ფეხბურთელებმა, რომლებმაც დუბლინში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ლიდერი — ბულგარეთის ნაკრები. გოლები გაიტანეს მაკგრატმა და მორანმა. ამ მატჩში უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს ირლანდიელი ლ. ბრეიდი.

კვლავ სუსტად ითამაშეს ბელგიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გლაზგოში ანგარიშით 0:2 წააგეს შოტლანდიის ნაკრებთან. მაკკოისტისა და მაკსთეის გატანილმა გოლებმა ბელგიის ნაკრებს ფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი გადაუწურა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 10-5 | 11 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-5 | 10 |
| ბელგია | 7 | 2 | 3 | 2 | 13-8 | 7 |
| შოტლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 6 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |

ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშები

## გამოირჩეოდა მასობრიობით

**გაისად ჭაბუკთა II საკავშირო თამაშები უნდა გაიმართოს. ახალგაზრდა სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა უკვე დაიწყეს სამზადისი შეჯიბრებისათვის. ამ დღეებში ქუთაისის სპორტკომიტეტის დარბაზში ჩატარდა ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების შეჯიბრება ფარიკაობაში, რომელსაც კანდიდატები უნდა შეერჩია საქართველოს ნაკრები გუნდის დასაკომპლექტებლად. ასპარეზობის შესახებ გვესაუბრება მთავარი მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ ლორთქიფანიძე.**

— შეჯიბრება იმ დარბაზში ჩატარდა, რომელმაც თვენახევრის წინ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებს, კერძოდ, მოფარიკავეთა პირველობას უმასპინძლა. იქ ყველა პირობაა შექმნილი შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ და ქუთაისის ოლიმპიური რეზერვის ფარიკაობის სკოლის მუშაკებმაც ასპარეზობის დღეებში ყურადღება არ მოგვაკლეს.

მაგრამ ასპარეზობაზე მთავარი მაინც მონაწილეთა მომზადების დონე და ბრძოლების ხარისხია. მაქვს რამდენიმე შენიშვნა ჭაბუკ სპორტსმენთა და მათ მწვრთნელთა მიმართ, რომელიც სპორტსმენთა არასაკმარის ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას ეხება, მაგრამ ადრინდელ შეჯიბრებებთან შედარებით ახლა უკეთესად იყო საქმე. მაგალითად, ძალზე კარგი გუნდები გამოიყვანა აფხაზეთმა ხმლითა და რაპირით ფარიკაობაში. იქაურ ჭაბუკებს ვგულისხმობ. დაშნით მოფარიკავეთა კარგი გუნდი ჰყავს აჭარასაც. ოსტატობა აუმაღლებიათ გლდანის რესპუბლიკური სპორტული სკოლის სპორტსმენებსაც. შეჯიბრების ფავორიტს — თბილისის ნაკრებს — ზოგიერთ დისციპლინაში პოზიციის დათმობა მოუხდა. მაგალითად, მოხმალავეთა შორის ყველას აჯობა გაგრელი მწვრთნელის თამაზ კაკულიას მოწაფემ ჯემალ ანქვაბმა, რაპირაში — მისმა თანაგუნდელმა ომარ ჯანიაშვილმა, რომელსაც ვიტალი გრიგოლია ავარჯიშებს. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა, გოგონათა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ლია გიორგაძემ (მწვრთნელი ლუდვიგ ლანიძე) და დაშნით მოფარიკავე ალეკო ზახაშვილმა. მას იგორ ვაროვი წვრთნის. ისიც უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში მიწვეული სპორტსმენები. უნდა ითქვას ისიც, რომ შეჯიბრება მასობრივი იყო — ბილიკზე 231 მოფარიკავე გამოვიდა.

საუბარი ჩაიწერა
**ლალი ორდენიძემ.**

### შედეგები

ქვარცხლბეკი

**ხმალი.** 1. ჯ. ანქვაბი, 2. ლ. ყუფუანი (ორივე — აფხაზეთი); 3. ბ. ელენტი (ზესტაფონი). **გუნდური.** აფხაზეთი.

**რაპირა. ჭაბუკები.** 1. ო. ჯანიაშვილი (აფხაზეთი); 2. გ. კვარაცხელია (თბილისი); 3. ა. ბალაძე (ბათუმი). **გუნდური.** თბილისი.

**გოგონები.** 1. ლ. გიორგაძე, 2. თ. გალუაშვილი; 3. გ. შენგელია (სამივე — თბილისი). **გუნდური.** თბილისი.

**დაშნა.** 1. ა. ზახაშვილი; 2. გ. ფცქიალაძე; 3. ზ. იორდანიშვილი (სამივე — თბილისი). **გუნდური.** თბილისი.

**საერთო გუნდური.** 1. თბილისი — 587 ქულა; 2. ქუთაისი — 370; 3. აფხაზეთი — 325; 4. აჭარა — 322; 5. რუსთავი — 152; 6. ზესტაფონი — 119; 7. წყალტუბო — 98; 8. ტყიბული — 91; 9. თერჯოლა — 60, 10. ჭიათურა — 55; 11. მაიაკოვსკი — 28.

### მოკლედ

**სამტრედიაში** რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" რაიონული სპარტაკიადის ტურნირი მინიფეხბურთში.

პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ნაკრებმა გუნდმა. მეორე და მესამე ადგილზე შესაბამისად გავიდნენ სადგურ ფოთის და სამტრედიის სავაგონო დეპოს ფეხბურთელები.

**იმერაბ ნიკოლაიშვილი.**

ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს

# უნივერსიტეტელთა ტრადიცია გრძელდება

**თბილისის** უნივერსიტეტის მთამსვლელებმა შორს გაითქვეს სახელი. მარტო ის რად ღირს, რომ უნივერსიტეტელთა 18-კაციანი ჯგუფის მიერ, გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით 1923 წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერის დალაშქვრამ საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას ჩაუყარა საფუძველი.

ლის ეზოში, აქ დაულოცეს მათ გზა მთებისკენ.

წლევანდელი ალპინიადა განსაკუთრებულია, რადგან იგი დიდი ილიას დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება. ალპინიადის მონაწილენი ამ თარიღის აღსანიშნავად ხდის ხეობაში მდებარე ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალზე ავლენ.



მას შემდეგ უნივერსიტეტელთა ალპინიადები ტრადიციად იქცა. ამ ალპინიადებზე ასობით სტუდენტი ეზიარა მთამსვლელობას, ბევრი მათგანი ცნობილი ალპინისტიც გახდა.

გუშინ უნივერსიტეტის სტუდენტები — მორიგი ალპინიადის მონაწილენი, ტრადიციისამებრ შეიკრიბნენ მშობლიური სასწავლებ-

შემდეგ მყინვარწვერის ფერდობებზე ბეთლემის გამოქვაბულს მოინახულებენ და მყინვარწვერსაც დალაშქრავენ. ავლენ სხვა მწვერვალებზეც. გავა დრო და, ვინ იცის, იქნებ კიდევ ერთმა დიდმა მთამსვლელმა თქვას, ალპინიზმს ვეზიარე თბილისის უნივერსიტეტის ალპინიადაზე, რომელიც დიდი ილიას დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნაო.

# ცაიტნოტი

(დასასრული)

შედეგიანი აღმოჩნდა, ამ პარტიის გათამაშებისას სენსაციის მოწმენი გავხდით. როდესაც მოწინააღმდეგენი მძაფრ ცაიტნოტში იმყოფებოდნენ, 14 სვლაზე 3-3 წუთი ჰქონდათ დარჩენილი, კასპაროვს შეემთხვა წარმოუდგენელი ამბავი — გააკეთა რა 26-ე სვლა არ გადაიყვანა საათი და გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა დარჩენილი ჰქონდა რამოდენიმე წამი. რომ გენახათ მისი სახე ამ მომენტში, მიხვდებოდით რა შინაგან დაძაბულობას განიცდიან მოჭადრაკეები, როდესაც თამაშობენ მატჩს მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. ესპანეთის ტელევიზიამ ეს მომენტი და კასპაროვის განცდები რამდენჯერმე გაიმეორა. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ამ მომენტში კასპაროვს მძიმე პოზიცია ჰქონდა, თუმცა ცაიტნოტი მაინც ცაიტნოტია და ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ადგილობრივი გაზეთები და ტელევიზია ხაზს უსვამენ სპასკის ინტერვიუს, რომელმაც თქვა, რომ კარპოვი ყველა დროის უძლიერესი მსოფლიო ჩემპიონია. კარპოვმა, როგორც მსოფლიო ჩემპიონმა 41 ტურნირში გაიმარჯვა. თუმცა, აქ მაყურებლებს ნაკლებად მოსწონთ მისი აკადემიური სტილი და უფრო მეტად გულშემატკივრობენ კასპაროვის შემტევ სტილს. ამ დღეებში ესპანეთის ტელევიზიამ ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი — გამოიკვლია გულშემატკივართა ნაწილის მოსაზრება, თუ ვისი მოგება სურთ. უმრავლესობამ კასპაროვს დაუჭირა მხარი.

ოთხშაბათს, მეორე პარტიის პარალელურად სევილიაში ჩატარდა ფეხბურთის მატჩი — ესპანეთის ნაკრებმა, რომელსაც არასდროს წაუგია სევილიაში, შემტევ სტილში დაამარცხა ავსტრიის ეროვნული გუნდი — 2:0. ტელევიზიამ ინტერვიუ ჩამოართვა აქაური ფეხბურთის ვარსკვლავს, მადრიდის „რეალის“ მოთამაშეს ემილიო ბუტრაგენიოს. ბუტრაგენიომ თქვა, რომ მისი ქვეყნისთვის დიდი პატივია კასპაროვ-კარპოვის მატჩის მასპინძლობა და დაუმატა, რომ თუმცა ჭადრაკის დიდი სპეციალისტი არ არის, მაინც ყურადღებით ადევნებს თვალს მატჩის მსვლელობას, და სურს კასპაროვის გამარჯვება.

როგორც ხედავთ, გულშემატკივრების უმრავლესობა კასპაროვის მხარეზეა, აი მაყურებელთა დარბაზი კი ორივე მოჭადრაკეს თანაბრად უჭერს მხარს.

მატჩისადმი ინტერესი ძალზე დიდია, აკრედიტებულ ჟურნალისტთა რიცხვმა სამასს მიაღწია. საქართველოდან შემოგვემატა დიდოსტატი ედუარდ გუფელდი, რომელიც მატჩის რეპორტაჟს გადასცემს „სოვეტსკი სპორტსა“ და „კომსომოლსკაია პრავდას“. პრესცენტრის დარბაზში განსაკუთრებით აქტიურობს ყველაფრის მომსწრე, 78 წლის არგენტინელი დიდოსტატი მიგელ ნაიდორფი. მიუხედავად ასაკისა, მისი ტემპერამენტი დიდ სიმპატიას იწვევს, ის აქედან გადასცემს ყოველდღიურ ინტერვიუს არგენტინის ერთ-ერთ უდიდეს გაზეთ „კლარინს“. პრესცენტრის დარბაზში ყოველთვის ისმის აუგოსლავიელი ჟურნალისტის დიმიტრი ბელიცას ბოხოქარი ხმა. გუშინ საღამოს ბელიცა ძალიან აღელვებული იყო იმის გამო, რომ ხელჩანთა დაკარგა. როგორც ცნობილია, ის ანატოლი კარპოვის დიდი ქომაგია და ამ დღეებში, როგორც თვითონ ამბობს, საუბარი ჰქონდა საბჭოთა ფსიქოლოგ დადაშევთან. ბელიცა ირწმუნებოდა, რომ ესაუბრა საბჭოთა ფსიქოლოგს, რომელიც, მისი თქმით, დიდ დახმარებას უწევდა კასპაროვს წინა მატჩებში. დიმიტრიმ პრესცენტრში რამდენიმე კაცს განუცხადა, რომ მოამზადა გაზეთისათვის სენსაციური წერილი, რომელიც ალბათ გაცილებით მეტ ხმაურს გამოიწვევს, ვიდრე კასპაროვის წიგნიო. სწორედ ეს წერილი ჰქონია მას ხელჩანთაში, რომელიც დაკარგა. მან ხელჩანთის დაკარგვა შეატყობინა პოლიციას, თან ისიც დაუმატა, რომ წერილის ფოტოასლი გადაღებული აქვს. არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა მისი საუბარი დადაშევთან, მაგრამ ერთი რამ უდავოა, მატჩი მხოლოდ ეხლა დაიწყო და თუ ასე გაგრძელდა, დაძაბული ატმოსფერო გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს საბოლოო შედეგზე.

მინდა შევეხო ჩემს, როგორც პრესცენტრის ხელმძღვანელის მუშაობასაც. უკვე გამოვიდა რამდენიმე სპეციალური ბიულეტენი, იგი განკუთვნილია აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის. ბიულეტენებში დაიბეჭდა ჩემს მიერ გარჩეული პირველი ორი პარტია დაწვრილებითი კომენტარით. პირველი პარტიის გამოქვეყნების შემდეგ, როგორც კარპოვის, ასევე კასპაროვის ბანაკის ხელმძღვანელებმა მადლობა გადამიხადეს ობიექტურობისათვის.

მინდა აღვნიშნო, რომ მაყურებლებისთვის პირველი ორი პარტიის კომენტარს ბორის სპასკი აკეთებდა. შემდეგი სამი პარტიისა მე მაქვს დავალებული.

მატჩის ორგანიზაცია თანდათან უმჯობესდება. თუ კი პირველ დღეებში მასპინძლებმა ვერ გაითვალისწინეს წვრილმანები, ახლა ისინი ამ ნაკლის გამოსწორებას ცდილობენ.

საინტერესოა ერთი ასეთი დეტალიც: საჭადრაკო მაგიდასთან მოწინააღმდეგეებს იმ ფერის სავარძლები უდგათ, რა ფერის ფიგურებითაც თამაშობენ. რამოდენიმე პარტიაც და მერე უფრო თამამად ვისაუბრებთ მატჩის მონაწილეთა მზადებასა და მათ შანსებზე.

## მეორე პარტია

ინგლისურ დასაწყისში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ახალი გაგრძელება აირჩია და მთელი ოთხმოცდასამი წუთით ჩააფიქრა მეტოქე. იმდენად ეფექტური იყო სვლა — 9... e3, რომ თეთრებმა ვერანაირი კონტრარგუმენტი ვერ მოუნახეს მას, ხოლო 32-ე სვლის შემდეგ, როცა შამათი გარდაუვალი იყო, მსოფლიო ჩემპიონმა თავი დამარცხებულად სცნო.

**გ. კასპაროვი — ა. კარპოვი**

**ინგლისური დასაწყისი**

1. c4 მf6 2. მc3 e5 3. მf3 მc6 4. g3 კb4 5. კg2 0-0 6. 0-0 e4 7. მg5 კ:c3 8. bc ეe8 9. f3 e3 10. d3 d5 11. ლb3 მa5 12. ლa3 c6 13. cd cd 14. f4 მc6 15. ეb1 ლc7 16. კb2 კg4 17. c4 dc 18. კ:f6 gf 19. მe4 მფg7 20. dc ეad8 21. ეb3 მd4 22. ე:e3 ლ:c4 23. მფh1 მf5 24. ეd3 კ:e2 25. ე:d8 ე:d8 26. ეe1 ეe8 27. ლa5 b5 28. მd2 ლd3 29. მb3 კf3 30. კ:f3 ლ:f3+ 31. მფg1 ე:e1+ 32. ლ:e1 მe3.

თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, დაწინაურდა ანატოლი კარპოვი — 1,5:0,5.

**გუშინ** გაიმართა მესამე პარტია. მე-19 სვლის შემდეგ მცირე უპირატესობა კარპოვს ჰქონდა.

# პირველი მატჩები

**საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა კოლექტივებმა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი მატჩები ჩაატარეს.**

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა გუნდმა „ელექტროსილამ“ („სპარტაკი“) ლილიან რონკეტის თასის გათამაშებაში ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სპორტსმენებს (ბეაკ) უმასპინძლა. საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ტაიმი მათ 24 ქულის უპირატესობით მოიგეს — 60:36, შეხვედრის საბოლოო ანგარიშია — 107:68 „ელექტროსილას“ სასარგებლოდ.

**ბუდაპეშტი.** ამავე თასის გათამაშებაში საბჭოთა კალათბურთელებმა კიდევ ერთი შეხვედრა ჩაატარეს — კიევის დინამოელები აქაურ „პეჩს“ შეხვდნენ. ბრძოლა უაღრესად მძაფრად და დაძაბულად წარიმართა. პირველი ნახევარი მასპინძლებმა მოიგეს — 36:27. შესვენების შემდეგ გამოიკვეთა დინამოელთა უპირატესობა, რომლებმაც გარდატეხა შეიტანეს თამაშის მსვლელობაში და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 65:63.

განმეორებით შეხვედრას „დინამო“ შინ, 21 ოქტომბერს ჩაატარებს.

## ცელეცაიკა-მკითხველი

**ლოს-ანჯელესი.** როგორც ვიუწყებოდით, „ამერიკის თასის“ პირველ მატჩში ევროპის ჩემპიონმა სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მარცხი განიცადა ტურნირის მასპინძლებთან აშშ-ს გუნდთან (0:3). მეორე შეხვედრა ჩვენს სპორტსმენებს კანადელებთან ჰქონდათ და ამჯერად გაიმარჯვეს — 3:1, თუმცა გუნდის მწვრთნელთა განცხადებით ევროპის ჩემპიონი ჯერ ისევ არაა ჩვეულ ფორმაში და შეხვედრებს უთანაბროდ ატარებს.

## გუშინ...

**თბილისის** სპორტის სასახლეში დაიწყო საქართველოს ღია ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 12 ქალაქის 56 სპორტსმენი მონაწილეობს.

შეჯიბრების პროგრამაში მხოლოდ მრავალჭიდია. პირველ დღეს სპორტსმენები სახტუნაოთი, რგოლით და უსაგნოდ ვარჯიშში გამოდიოდნენ. ლიდერობა ხელთ იგდო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა თინათინ ნადირაშვილმა — 28,65.

## რბოლა ბირმინჰემის ქუჩებში

დაახლოებით 80.000 გულშემატკივარი დაესწრო „ფორმულა 3000“ ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს, რომელიც ინგლისის ქალაქ ბირმინჰემში მოეწყო.

„დიდი პრიზი“ მოიპოვა 23 წლის იტალიელმა ავტომრბოლმა სტეფანო მოდენამ, მეორე ადგილი დაიკავა ინგლისელმა ენდი უოლესმა.

პარლამენტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ბირმინჰემი მოემზადება იმისათვის, რომ მომავალ წელს ამ ქალაქის ქუჩებში გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლაში.

# ჭადრაკი და ლატარია

## „სპორტპროგნოზის“ მოყვარულთათვის!

**ითვალისწინებს** რა ჭადრაკის საბჭოთა მოყვარულების დიდ ინტერესს თანამედროვეობის ორი უდიდესი დიდოსტატის, გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩისადმი მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულის მოსაპოვებლად, სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველო აწყობს ლატარია **„სპორტპროგნოზის სპეციალურ საჭადრაკო ტირაჟს,** რომელსაც საფუძვლად უდევს ამ მატჩის 13 პარტიის (მეშვიდედან მეცხრამეტეს ჩათვლით) პროგნოზირება.

**ტირაჟის პროგრამა:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | 7 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |
| 2. | 8 პარტია | გ. კასპაროვი — ა. კარპოვი |
| 3. | 9 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |
| 4. | 10 პარტია | გ. კასპაროვი — ა. კარპოვი |
| 5. | 11 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |
| 6. | 12 პარტია | გ. კასპაროვი — ა. კარპოვი |
| 7. | 13 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |
| 8. | 14 პარტია | გ. კასპაროვი — ა. კარპოვი |
| 9. | 15 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |
| 10. | 16 პარტია | გ. კასპაროვი — ა. კარპოვი |
| 11. | 17 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |
| 12. | 18 პარტია | გ. კასპაროვი — ა. კარპოვი |
| 13. | 19 პარტია | ა. კარპოვი — გ. კასპაროვი |

საჭადრაკო ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ბილეთები შეივსება ისევე, როგორც „სპორტპროგნოზის“ სხვა ტირაჟებში.

ბილეთის უჯრედებში საჭიროა უჩვენოთ ყოველი პარტიის სავარაუდო შედეგი: 1 — იმ მოჭადრაკის გამარჯვება, რომელიც წყვილში დასახელებულია პირველად; X — ფრე; 2 — იმ მოჭადრაკის გამარჯვება, რომელიც წყვილში დასახელებულია მეორედ.

„ა“, „ბ“ და „ვ“ ნაწილებში, იქ სადაც უნდა მიუთითოთ ტირაჟის ნომერი, გარკვევით უნდა ჩაწეროთ ასო „Ш“.

ტირაჟი გაგრძელდება მე-19 პარტიის დასასრულამდე, მისი გადადებისას დამთავრების გათვალისწინებით. თუ მატჩი დასრულდება ვადამდე, გაუთამაშებელი პარტიების შედეგები განისაზღვრება წილისყრით.

საჭადრაკო ტირაჟის ბილეთების მიღების უკანასკნელი ვადაა ა. წ. 21 ოქტომბერი, იმავე პუნქტებში, სადაც ჩვეულებრივ ხდება „სპორტპროგნოზის“ ლატარიის ბილეთების მიღება. საჭადრაკო ტირაჟში მოგებული ბილეთების რეგისტრაციის ვადების შესახებ **გაცნობებთ დამატებით.**

**გიწვევთ „სპორტპროგნოზის“ საჭადრაკო ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად!**

**საქსპორტლოტო.**

## ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 17 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ქაირათი“ (ალმა-ათა) „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — **18.00 (2)** და „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — ცსკა — **20.30 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 17 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) — **19.00.**

**საქართველოს რადიო. 17 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) — **20.00.**

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. **17 ოქტომბერი.** „სინათლის“ სტადიონი. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი).** დასაწყისი 15 ს.

**18 ოქტომბერი.** ასკ-ს სტადიონი **„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი).** 15 ს. ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი).** 16 ს.

რედაქტორი **თ. ბაჩიჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მარიჯე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08035